


ინდოეთის თავზე
ცა მრისხანედ ელავს.
მოღალატე განდი
კანკალებს და ღელავს...

მუშათა მთავრობას
შველას ეხვეწება,
უალერსებს ჯალათს
და მის ფეხქვეშ წვება.

მაკდონალდიც ძმურად
„ეხმარება“ მუშებს.
ხედავთ — აჯანყებულებს
ზარბაზნებით უშენს!

12 698

# საიდუმლო ბარათი

ს. სიქთარუა, პოლკოვნიკ ჟივიაგინს

სალამი თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

ბატონო პოლკოვნიკო ნეტარებით და სიხარულით ალვივსე, როდესაც თქვენი მშვიდობით ყოფნის ამბავი შევიტყე. სიამოვნებით მაგონდება ის ბედნიერი დღეები, როდესაც მე და თქვენ ერთად ვემსახურობდით დენიკინის არმიაში და მუსრს ვავლებდით ბოლშევიკებს.

მაი გიდი, რამდენი მუშისა და გლეხის ოჯახი დაგვიწიოკებია დონის ოლქში?!

სიქთარუადან ჩამოსულმა კულაკმა ჭ. მუმლაძემ მიამბო თქვენი ამბავი. როგორც გადმომცა, დიდებულად მოგიჯახრაკებიათ საქმე. ჯერ ბოსლევში მოგიწყვიათ არტელი, შემდეგ სიქთაურაში.

ეს კიდევ არაფერი. თქვენ პირდაპირ საშვილიშვილო სამსახური გაგიწევიათ ადგილობრივ ყოფილი მღვდლებისათვის, აზნაურებისთვის ვაჭრებისათვის, რომელნიც ერთხმად შენს კოლექტივში გაგიერთიანებია. ძალიან გემადლიერება ვაჭარი ალექსანდრე ტალახაძე და უფრო მეტად განთქმული პოლიციელიკი გ. ჭუმბურიძე, რომ ისინი არტელში დაგიბინავებიათ. რაც შეეხება კულაკ ჭ. მუმლაძეს, რომელიც წელს პიროვნულად ყოფილა 800 მანეთით დაბეგრილი, ის ხომ პირდაპირ თქვენს მუხლს ლოცულობს

ან აქ საკვირველი რა არის? აი ბალეს ყველგან სახელი მქონდა გატეხილი და თქვენ სახელთან ერთად ქონებაც დაუბრუნეთ. ეს კიდევ არაფერი. თქვენ სარეწკავშირის ზესტაფონის განყოფილებიდან 2000 მანეთის გამოტანა მოახერხეთ დიდი ოსტატობით და მათ ძმურად გაუნაწილეთ.

მე პირადათეს იმიტომ გამეხარდა, რომ დღეს ყველა კოლექტივიზაციას მისდევს და თქვენ ერთად-ერთი გამოხველით, რომელმაც კულაქტივიზაცია ჩატარეთ.

მიიღეთ ჩემი უმდაბლესი პატივისცემა.

ლეიბგვარდიის ყოფილი როტმისტრი ბექ ახმახ-ხურმა.

# თავის-თავზე

— გუშინდელ გაზეთში ერთი გლეხკორი მეორე გლეხკორს ასხამდა ხოტბას, — კარგათ მუშაობსო.

— ეს როგორ შეიძლება, ეს ხომ გლეხკორული ძმაბიჭობაა!

— შენ სხვაა იკითხო! ამას წინად ასურეთის ფოსტის გამგე კურტანიძემ თავის თავზე დასწერა ქების წერილი და გაზ. „კოლექტივიზაცია“-ს რედაქციას გადუგზავნა.

# —გაზაფხული წასულა



იმდენი ეძინა, რომ
გაზაფხული გავიდა.
პორტფელში კი ათასი
გეგმები აქვს თესვისა.

ჩიტმა დაიიმასქნა,
მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ
არსად მანქანები აქვს,
არც მარცვალი თესლისა,..

# არბოშიკელი მეთაური

— ეს რა ღმერთი გამიწყრა, როგორ გადამავიწყდა....

— რა იყო, რა გადაგავიწყდა?

— კაცო, გაზაფხულის თესვისათვის ყველაფერი მოვამზადე: ტრიერი, ფორმალინი, მწკრივში სათესი მანქანა და ისე გავერთე ამ მუშაობაში, რომ თვით თესლის დამზადება სულ გადამავიწყდა.

# ვინის ბრალია

ზედასიმონეთის კოოპერატორები სხდომაზე არიან.

— მე ვამბობ, რომ პირველ ყოვლისა კოოპერატივის შენობის შეკეთებაზე უნდა ვიზრუნოთ.

— რატომ შეკეთება ბარემ ახალი შენობა ავაგოთ, რომ ყველაფერი რიგზე გვქონდეს!

— თქვენ ძმაო, ორივე მკვა მოკლე ყოფილხართ; შენობის აგება ჩვენთვის აბა რა ხელსაყრელია?

— რატომ, რატომ?

—რატომ და ამას მერე მიხვდებით.

ბოლოს მეხამეს დაუჯერეს. შენობის აგებაზე და შეკეთებაზე ხელი აიღეს.

მოკლე ხანში კოოპერატივს აუარებელი საქონელი მოუვიდა: შაქარი, ლობიო, ბრინჯი, ფქვილი, ერთი სიტყვით—რა გინდა სულო და გულო!

შენობა უვარგისია, საქონელი გარეთ ყრია. ზოგ „კოოპერატორს“ შაქრის ნატეხები მიაქვს, ზოგს ლობიო, ზოგს ბრინჯი, ზოგს ფქვილი. ბოლოს ანგარიშზე მიდგა საქმე.

ბიჭოს, ეს რა ამბავია, 500 მანეთის ფქვილი აკლია! შემდეგ იანგარიშეს—კიდევ ასოცდაათი მანეთი ახალი დაემატა.

— ვინ მოიპარა, ვისი ბრალია, ვინ შეჭამა?

დამნაშავეს ეძებენ. არსად. არავინ არის. ყველა მართალია. 700 მან. ფქვილი უკვალოდ გაჰქრა.

ვერც სარევიზიო კომისიამ მოაწყო რამე.

გამგეობა თავს მართლულობს. ყველა უზინაობას აბრალებს. ალბად წვიმამ ან ქარმა წაახდინა. საქმე ჩაიფარცხა.

სიმონეთელი კოოპერატორები ისევ სხედან და ბჭობენ.

— ნახეთ, ხომ მართალი ვიყავ! შენობა რომ შეგვეკეთებინა, ან ახალი აგვეგო, მაშინ ხომ ამ ფქვილს ცხვირიდან გვადენდნენ? ეხლა კი შაბაშ, შეგვრჩა ყველაფერი.

მართლაც შერჩათ! სარევიზიო კომისიაც ეტყობა ამ აზრისაა. ყველაფერი იმ საცოდავ შენობას დააბრალეს. მახლააასსს!

ჯანჯუხი.

# ვის შეეხება!

როგორც იცით ოზურგეთის სახ. სასამართლომ საკრედიტო ამხანაგობის 1.500 მანეთის გაფლანგვისათვის მომისაჯა ერთი წლით დაპატიმრება.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ჩემს დასაპატიმრებლად არაკაცი არ მოსულა.

თუ გადაწყვეტილების დღიდან ჩამეთვლება სასჯელის მოხდა, მაშინ მიყავით სიკეთე და ცოტა ხანს კიდევ დამაცადეთ.

ლადიკო თავართქილაძე.

## უცნაური ავადმყოფობა

სენაკის მაზრის სოფელ სამიქაოში უცნაურმა და საშიშმა ავადმყოფობამ იჩინა თავი. უბედურება სწორედ იმაშია, რომ ამ ავადმყოფობის პირველი მსხვერპლი შეიქნა სწორედ ექიმის თანაშემწე კარანაძე.

ავადმყოფობის ნიშნები ასეთია: თვალები მორღვეული და არეული, რის გამო ერთი საგანი ორად, ხან სამად ეჩვენება, ცხვირი წითელი და დასიებული, პირიდან საშინლად მყრალი სუნი ამოსდის და აქვს ხშირი პირისღებინება, რომელსაც წითელი აყროლებული სითხე ამოსდევს (თუ წითელი ღვინო დალია), ხან კი სითხეს თეთრი მოყვითალო ფერიც აქვს.

ავადმყოფს გონება დაკარგული აქვს, ლაპარაკს ურევს, ბოდავს, ხან კი სიგიჟესავით რაღაც მოუვლის და თუ თოკით არ დააბის, ვინც მოხვდება თავპირო... [illegible]

ავადმყოფობა თანდათან სხვებსაც ედება.

საჭიროა ჯანმრთელობის კომისარიატმა სასწრაფო ზომები მიიღოს.

მუხუდო.

## მოწვევის ბარათი

ხვალ სადილათ ვთხოვ ქუთაისის პროფსაბჭოს ზოგიერთ წევრებს და ჩემს ყველა ნაცნობ - მეგობრებს, რომლებმაც გამიწიეს დახმარება, ამაცილეს დიდი სასჯელი და დამაწინაურეს უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

არ მოველოდი, თუ განათლების კავშირის შორაპნის განყოფილების თავჯდომარედ ყოფნის დროს ჩემს მიერ გაფლანგულ 575 მანეთის გამო ასე უვნებლად გადავრჩებოდი.

არ მეგონა, თუ თქვენ შეგეძლოთ გაზ. „მუშა“-ს და „კოლექტივიზაცია“-ს ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილების ასე ადვილად მიჩქმალვა.

მიკვირს როგორ დაიყოლიეთ ქუთაისის მუშ-გლეხინი, რომლის წარმომადგენელმა ბრალდებები დამიმტკიცა.

ეხლა კი მწამს თქვენი ძლიერება და თავდადება, რაზედაც ულრმეს მადლობას გიცხადებთ.

თქვენი ა. ფ. ოვანოვი.

## მგლოვიარე სოფელი

სოფელ მირზაანზე (კახეთის ოლქი) გავიარე შემთხვევით. ქოხ - სამკითხველოს ეზოსთან აუარებელ გლეხობას მოეყარა თავი. ყველა დაღონებული იყო, ყველას ცხვირპირი ჩამოსტიროდა. ყური დავუგდე გლეხების საუბარს:

— მერე, რა დიდებულად მუშაობდა, როგორ ზრუნავდა ჩვენზე!

— მაშ მოკვდა, მოკვდა ჰა, გარდაიცვალა საცოდავი?!

— სრულიად მოულოდნელად, უეცრად გარდაიცვალა!

— კაცო-და ამ რადიოს რაღა ეშმაკი დაემართა?

— რა მშვენიერი ხმა ქონდა, როგორ ტკბილად გვესაუბრებოდა, როგორ მღეროდა!

— შე ოჯახ აშენებულო, მიცვალებულზე ვინ მღერის, რომ რადიომ იმღეროს?

გულმა აღარ მომითმინა და იქვე მდგომ გლეხს შევეკითხე:

— ამხანაგო, ვინ მოკვდა, ვიზე ხართ მგლოვიარე!..

— ვიზე და, ქოხ - სამკითხველოს საბჭო გარდაიცვალა შენი ჭირიმე. წუხილით მიპასუხა ჩემმა მოსაუბრემ და გაბრუნდა.

მშვიდობით, მშვიდობით ძვირფასო გვამო, კეთილი იყოს ხსენება შენი!

შამილ.

## კითხვა-პასუხი

— თქვენი ვინაობა?

— მე გახლავართ თიანეთის კოოპერატივის ნოქარი გვარად — ნამორაძე.

— რა და რა საზოგადოებრივ მუშაობას ეწევით?

— საქონელს პირველ რიგში ჩემს ნაცნობ - მეგობრებს და ძმა-ბიჭებს ვაძლევ. დანარჩენებს უარით ვისტუმრებ. მართალია გლეხკორებმა გაზეთში გამწერეს, მაგრამ არც იმათ დავაკლე.

— ჰყოფილხართ თუ არა პასუხისგებაში მიცემული?

— ვინ გამიბედავს. თიანეთის მილიციამ დამიბარა და მილიციონერს ისეთი სილა ვტკიცე, რომ უკან აღარ მოუხედნია, კუდით ქვა ვასროლინე.



კომკავშირელები — აფსუს, რა უტილნელდლეული ილუპება?

# ანკეტისეგური

გვარი: ათაბეგოვი.
სახელი: არტაშა.
მამის სახელი: შაქროსძე.
სპეციალობა: გამფლანგველი: 1929 წ. ერწოს კოოპერატივში ნოქრობის დროს გავფლანგე 700 მანეთი. ამჟამად კი როგორც ახალგაზრდა, დამაწ[illegible]ურეს და ვმსახურობ სოფ. საყარაულოს საბჭოში მდივნის თანამდებობაზე.

მართალია აქაც არ აღვმოჩნდი წმინდა წყლისა, მაგრამ თუ „დიდი კაცები" გწყალობენ, ვერას დ[illegible]ლებს მტერია, და მეც ამიტომ ძმობილო, არ შევიცვალე ფერია.

ხევსურიშვილი.

# დიდი მადლობა

მე ჯუმათის [illegible] კოოპერატივის ნოქარი ილიკო ერასტოსძე დოლიძე ულრმეს მადლობას ვუცხადებ ეტლია ჩხარტიშვილს, სევასტი გორგოშიძეს, ჯერვან ფაცურიას და ნიტიფო ჩხარტიშვილს იმისათვის, რომ მათ დიდი ამაგი დამდეს და საბჭოთა აპარატის წმენდის დროს დაფარეს ბევრი ჩემი ბოროტმოქმედება და ხულიგნობა.

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი აგრეთვე საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიას, რომელმაც დიდი ლმობიერება გამოიჩინა ჩემდამი და თავისი მფარველი კალთა გადამაფარა.

ღმერთსა ვთხოვ შემაძლებინოს მათი სიკეთის გადახდა.

ი. დოლიძე.

# ყურის ტკივილი

გახშირდა ყურის ტკივილი, რომელიც გამოწვეულია 10 წლედის სასულე მუსიკით. ვინც ამ მუსიკას თითო „პესნას" მოუსმენს, აუცილებლად ყურები ასტკივა. ფოთში ჯერ - ჯერობით არავინ აღმოჩნდა არც ყურებით ავათმყოფების და არც 10-წლედის სასულე ორკესტრის გამკურნებელი.

ჟანელი.

# ექიმები სოფლად



თავპირის მტვრევ[illegible]თ ეხვევიან

## სასიმღერო

ჩოხხათშია სამკითხველო,
იავ-ნანა, რერა რაშო.
საჭიდაო, სათარეშო,
სანავარდო, სათამაშო.
ჩვენო გამგევ დათიკია,
ხომ არ ელი მითხარ სახრეს,
რომ მთლად ასე დაუდევრად
ეკიდები ძმაო საქმეს?

ფხიკი.

# მოკითხვის წერილი

## ჩოხხათი ლაზარე ჩხარტიშვილს

ჩემ ლაზარეს სიცოცხლე! რაფერ ხარ ძამიე, რაფერ ცხოვრობ! გავიგე კარგა მოწყობილხარ არტელ „განთიადში". ეგ ოხერი მე ვერ ველირსე გათენებას თვარა, შენთვის სულ განთიადია და შუადღე. წინეთ იყო ძმავ, მოიჯარადრე იყავ, ცხოვრობდი აბრეშუმებში. ახლაა — და შენცა და შენი ქალიც ჩაკავერკოტებული დეიარებით. ხუმრობა ხომ არაა. 60 კაცს მუშას მეთაურობ. კაცი სოვდაგარი ხარ!

იცოცხლე ჩემო ლაზარია, მე შურით არ მომდის აი. გწერ გამწარებული, რომ ეს ოხერი მე ვერ მოვახერხე არტელში შეძრომა. შენ კი აგერ სამი თვის განმავლობაში 540 მანეთი ერთი აგირტყამს და 1.204 მანეთი მეორე— საგზაო ხარჯები.

ბიჭო! ხარჯი კანეჩნა საჭიროა, თავმჯდომარე კარგი ხარ, პური გინდა, ღვინო, ცხენი, ეტლი—ერთი მეორე... შენმა თანაშემწემ საბახტარაშვილმა მითხრა, რამე, მასაც 1.150 მანეთამდე ფული ჩუურტყამს. ორივეს ძმურად გაგითევვებიათ 3.000 მანეთამდე. თქვენი არტელის 60 მუშას კი სულ 3.000 მანეთიც ვერ გოუკეთებია ერთად.

ლაზარია, თუ კაცი ხარ, იქნებ მეც როგორმე მომიხერხო ბიჭო და მაი შენი „განთიადი" ჩემთვისაც გაათენო, თვარა მოვკტი კაცი ამდენი ლოდინით. შინმა იმედმა გადამიტანა.

შენი ძმა კორფილა.

# ტელეფონთან

— ბარიშნა, მომეცი, შენი ქირიმე, სოფელი ნაფარეული!...

— ნაფარეულია?.. რაო?.. ზემო-მახხაანიო?.. კაცო, მე ნაფარეული მინდოდა და ზემო - მაჩხაანი საიდან გაჩნდა?! მაგრამ სულერთია, მანდაც საქმე მაქვს... აბა, მაშ გამომიძახე კიტრი - ბულას ბიჭს ბადოს.. რაო?.. მთვრალია, პირში ენა არა აქვსო?... არა უშავს რა, ცივი ტილოები დაადე შუბლზე და როცა გამოფხიზლდეს, უთხარი: — შოლტიანმა შემოგითვალა შენ თუ ბედის წერას არ აუტანიხარ, ჭკუით მოიქცე, ლოთობას და კოლექტივის წევრების ლანძღვა - გინებას თავი დაანებე, თორემ სადაც შენი ძმაკაცი კოტარის - ბიჭი წავიდა, შენც იქ მიგაყოლებთქო.

— ბარიშნა... ბარიშნა.. ქალო, მე ნაფარეული მინდოდა და შენ კი ზემო - მაჩხაანი მომეცი... ეხლა მაინც არ აგერიოს, იქაური სამკითხველოს გამგე მყავს გასაროზგი..

— ნაფარეულია?.. რაო?.. გურჯაანის საოლქო მილიციაო?.. კაცო, სად ნაფარეული, სად გურჯაანის საოლქო მილიცია?!. უცნაური ქალი ყოფილა!.. ვინ ხარ, კაცო, ტელეფონთან?.. გიორგი მესტიაშვილი ხარ?.. გამარჯვება, ჩემო გიორგი!.. დიდ ხანია შენთანაც მქონდა საქმე და აი, შემთხვევით შეგხვდი. კაცო, მილიციის ცხენების თავლა რაღა წითელ სასადილოს ჩაუდგი ცხვირ - წინ? ხომ იცი, ხალხს ისედაც გული ერევა წითელ სასადილოს საჭმელებზე და ნეხვის სუნი უარესს უშვრება..

ჭიტა.

# განმანათლებელი

## პატივცემულო ამხანაგებო!

თუ ვისმეს გინდოდეთ წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და ამისათვის სათანადო ცოდნა და მომზადება არ გქონდეთ — ნუ დაეცემით სულიერად. გამოიყენეთ მხოლოდ ჩემი შემდეგი რჩევა:

მიდით ალმასკომში, გამოართვით წიგნები, რვეულები და ფანქრები, ყველაფერი ეს გაყიდეთ და ფული, როგორც თქვენი გუნება მოითხოვდეს, ისე მოიხმარეთ.

როდესაც ალმასკომიდან მოვა წარმომადგენელი თქვენი მუშაობის შესამოწმებლად, შეაგროვეთ თქვენი ნათესავები და ახლობლები, რომელთაც წერა - კითხვა იციან და მათ ათქმევინეთ, ვითომ თქვენ აუხილეთ მათ თვალი, თქვენ შეასწავლეთ წერა - კითხვა.

ალმასკომის წარმომადგენელი კმაყოფილი დარჩება და ამნაირად რამდენიმე თვის ჯამაგირი ნაპოვნ დანასავით შეგრჩებათ.

სწორედ ასე ჩავატარე წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ახალქალაქის მაზრაში სოფელ ვანთაში.

განათლების ფრონტზე მებრძოლი

სიმონ ეფ-ძე ინანიშვილი.

# ექიმები სოფლად



თავპირის მტვრევით გარბიან

# ვაშა „მუშაკს“

შვიდწლედის მასწავლებელი,
მაჭარაშვილი გვარათა.
არჩილი ქვია სახელი,
განთქმული მთა და ბარათა.
განათლებული კაცია,
ხულიგნობაში პირველი.
მეზობლის გლეხ ქალს მიუხტა,
საქმე ქნა გასაკვირველი...

ჰინჰარი.

# არ დაუფასეს

— მე ამ ხალხს ვეღარ ვცნობ, ისე გამოიცვალა. ხმის უფლება ვითხოვე — არ მომცეს, კულაკი ხარო... დუქანს გახსნი და პატარა რამეს ივაჭრებ და ისევ იმავ გლეხებისათვის სცდილობ, რომ საჭირო საქონელი მიუტანო, — გეუბნებიან კულაკი ხარო, ფულს გაასესხებ — კულაკიაო, მშიერ -მწყურვალ გლეხს ვისმე დაიქირავებ და სამადლოთ პურს აჭმევ, რომ შიმშილით სული არ ამოხძვრეს, — მაინც კულაკს გეძახიან. არ ვიცი, ამ ხალხისა მე ველარა გამიგია რა, მაგათ ჩემი სიკეთე ვერ დავანახვე!

# სიცოცხლე და დღეგრძელობა

ბაკურიანის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობას, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ პასუხისგებაში ვიყავ მიცემული, ეპოს საწყობის გამგედ დამნიშნა და მსუქანი ჯამაგირიც მიწყალობა.

რადგან მინდოდა გამგეობის ერთგულებაში დავრწმუნებულიყავ საბოლოოდ, საწყობიდან აშკარად და ფარულად ვეზიდებოდი სახლში სხვადასხვა სასუსნავს: შაქარს, ერბოს, ბრინჯს და დანაკლის ვირთაგვებს ვაბრალებდი. ბოლოს იმდენი დააკლდა საწყობს, რომ ამდენს მთელი საქართ. კოოპერაციის ვირთაგვებიც კი ვერ შეხჭამდენ. გამწმენდმა კომისიამ ეს გარემოება მიიღო მხედველობაში და სამუშაოდან მომხსნა.

მას შემდეგ უკვე მესამე თვე გავიდა. მე კი გამგეობამ ხელიც არ მახლო და ჩემთვის ტკბილად კვლავ შევექცევი საწყობის ავლადიდებას. იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ გამგეობის წევრებო. მე თქვენს სიკეთეს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. შენ კი გამწმენდო კომისიავ, წადი და სადა შენი დაიკვეხო, ჩემიც არ დაგავიწყდეს!

საწყობის გამგე მიქაბერიძე

# დამსახურებული ჯილდო

— ვინ მაჯობებს, ვინ გამისწრებს მუშაობაში! დავცხებ, დავანიავებ, რკინა რომ იყოს დავლეჭავ, როგორ გამიძლებს?!

— მოგიკვდეს ბიჭი, მე შენ ჩამოგრჩე! საქმეში ჩვენ ვინ შეგვედრება!

ასეთი აღფრთოვანებული საუბარი ჰქონდათ ხეთის საბჭოთა მეურნეობის მოღვაწეებს, როდესაც ისინი პირველად შეუდგენ თავის მოღვაწეობას.

ალბათ იმ მიზნით, რომ შემდეგ დიდი მოღვაწეობისათვის სახელოვანი ჯილდოები — დაფნის გვირგვინები მიეღოთ, მათ გადასწყვიტეს ამ რაიონში მხოლოდ დაფნის ფოთლის მეურნეობის გაჩაღება.

— დაფნის პირველი გვირგვინი მე მერგება, ეს საქმე ჩემი დაწყებულია! —წამოიძახა ერთმა.

— რატომ შენ! მიწა ხომ მე გამოვნახე, გვირგვინი მე მერგება! — შეუტია მეორემ.

ლაპარაკს ლაპარაკი მოჰყვა, სიტყვას კიდევ — სიტყვა, დაცხებას— დაცხება...

მათ ოროსტრიალს ჯორებმა, კამეჩებმა და თხებმა შეასწრეს ყური და შეტევა გადასწყვიტეს.

— ხომ ხედავთ გვირგვინებს იყოფენ უკვე, აბა ხელათ გამოვაცალოთ ხალიჩა! — თათბირობა იკისრეს თხებმა და მაშინვე დაიწყეს საქმე.

დიდი ხანი არ გასულა. სულ მოკლე ხანში საბჭოთა მეურნეობა საქონელმა ერთიანად გაანადგურა. ხეთის მოღვაწეების საგვირგვინე დაფნით საქონელმა მოირთო რქები.

ამგვარად ხეთის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს თხებმა აჯობეს.

გამგეობამ ფული, ფულმა ჭკვა— თხამ მამული შეჭამა!.

ისკანდერ.

### ფრთხილად!

## სასიკვდილოა!

ქოლგები, კალოშები და საბნები აუცილებლად საჭიროა და გთხოვთ თან წამოიღოთ — როდესაც მოდიოდეთ ქოხ - სამკითხველოში, რადგან შენობაშიც ისე სწვიმს, როგორც გარეთ. როდესაც კარს შემოაღებთ, ფრთხილად, რომ ცისერი არ მოიტეხოთ, რადგან მარჯვენა მხარეს დიდი ლაფიანი ორმოა; ხოლო მარცხნით მონგრეულ კედელს ხოძი აქვს შეყუდებული და თუ ოდნავ მაინც მოხვდით, მთელი შენობა თავზე დაგეცემათ. როდესაც ქოხ-სამკითხველოდან გარეთ გახვალთ, დერეფანის სვეტებს ახლოს არ გაუაროთ, რადგან ჭერიდან დამტვრეული კრამიტი ცვივა და თავგაუტეხავი ვერ გადარჩებით

ყვიბისის ქოხ-სამკითხველოს გამგე თავდადებულიძე.

## ენისელის ეპო

სალამი და გამარჯვება
ენისელის ეპოს!
ფარჩა არის, თუ წვრიმალი
ზათოს მაინც ეყოს.
როცა მოდის საქონელი,
ჯერ ძმა-კაცებს აძლევს.
სხვას არ რჩება არაფერი
თუნდა დავდებ ნაძლევს.
ის წევრობას არ დაგიდევს,
არც იმას ვინც წვალობს —
ვინც ხაჭაპურს გაუმზადებს,
ზათო იმას წყალობს.
ვისაც მეტი ქონება აქვს,
ზათოც მისთვის გალობს.
ღარიბმა კი თუნდა კედელს
თავი მიახალოს.
პერმენი და ნიკანდრიცა
არა სცემენ ხმასო.
— რას მიქვია რევიზია,
ვინ იწუხებს თავსო?!
ასე მღერის ხოსროშვილი,
მიტომ არის მაუქნად...
ზათოს ეპო გაუხდია
ძმა-კაცების დუქნად...
ზარ-ქამათელს ათამაშებს
ხშირად არის უქმად!

ენისელი.

# უმადურები

სოფელ ფერსათის არტელებისათვის დაგროვილი 170 ფუთამდე სასუქი უპატრონოდ ყრია კერძო მჭედელთან და ოხრდება.

კორესპონდენციიდან.



ხარები. — თუ კი ასე დაათხრებდენ, ამდენი შრომა რისთვის გავწიეთ?

# მეცნიერება და ტექნიკა

### მანქანების საცდელი სადგური

მეცნიერება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. ერთი სიტყვით მეცნიერებასა და ტექნიკაში არაჩვეულებრივი ამბები ხდება.

მეცნიერებასა და ტექნიკას არ ჩამორჩება ჩვენი სოფელიც. მაგალითისათვის დავასახელებთ ტობანიერის სასოფლო საბჭოს მიერ მოწყობილ მანქანების საცდელ სადგურს, რომელიც ტექნიკის უკანასკნელ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

უცხოეთში ვიდრე რომელიმე მანქანას სამუშაოდ გაიტანდენ, მას წინასწარ სცდიან, თუ ვარგისი აღმოჩნდა უკან უბრუნებენ ქარხანას. ტობანიერის თემსაბჭომაც სწორედ ამ მიზნით მოაწყო ეს სადგური, მხოლოდ ამ სადგურში გამოცდა სულ სხვა წესით და სისტემით ხდება.

აი ეს წესიც. ვიდრე მანქანებს სამუშაოდ გაიტანდეს, საბჭო მანქანებს თავის შენობის წინ ღია ცის ქვეშ ჰყრის, ნაგავში, ჭუჭყში, ტალახში, შემდეგ ამ მანქანებს უსევს მთელი სოფლის ბავშვებს, რომლებიც მათ სოფელ-სოფელ დაარბენინებენ. თუ მანქანამ ამ გამოცდას გაუძლო, შემდეგ ის მიაქვთ მინდორში და იქ სტოვებენ რამდენიმე თვეს სრულიად უპატრონოდ.

ტობანიერში მიღებულ გუთნების, საიეს მანქანების და მანქანის ნაწილების სამარცხვინოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაუძლო ტობანიერ სადგურში ახალი სისტემით გამოცდას. ამ მანქანების დიდი უძრავლეობა უკვე სრულიად უვარგისია, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ჯერ ხნულში არც კი გაუვლიათ. ზოგს თვალი გამოსძვრა, ზოგს ღერძი, ზოგს ჭახრაკი მოეშალა.

როგორც ეტყობა, მანქანების გამძლეობის გამოსარკვევად ეს [illegible] ყველაზე საუკეთესოა. ტობანიერელ მოღვაწეებისა და ინჟენერების აღმოჩენა უსათუოდ დიდი ყურადღების ღირსია ამ გამოგონების შემოწმება და გამომგონებლების ღირსეულად დაჯილდოვება ევალება პირველ რიგში სოილქო აღმასკომს, შემდეგ კი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს.

ყვავი.

### სოფელ

## მიზანდარაში

საბჭოს თავმჯდომარეს ქმუტაშვილს

ძმაო გიორგი, გავიგე შენი გულკეთილობის ამბავი. შენა ხარ თურმე ნამდვილი მფარველი ყველა ტანჯულ და დავრდომილ კულაკისა.

ისიც გავიგე, რომ მანდაური მღვდელი იოანე ღვთისაშვილი და მედავითნე გაუმაძღრიშვილი ყოველი წირვა - ლოცვის დროს შენს დღეგრძელობას სთხოვენ ღმერთსა.

რატომაც არა, შენ რომ არა ყოფილიყავ, მაგათ ვინ დაუბრუნებდა საარჩევნო ხმის უფლებას, ან მაგათზე გადამტერებულ ძველ ბოლშევიკს ვინ გააძევებდა [illegible]ფლიდან, თუ შენ არა.

ასე, ჩემო გიორგი, განაგრძე შენი მოღვაწეობა ტანჯულთა და დავრდომილთა სასარგებლოდ.

შენი კეთილის მსურველი სოფელ მიზანდარის ნამამასახლისარი ყაფლან ანდუყაფარის-ძე [illegible]ჭაძე.

## მოსხეთ სიგუას

ხუთ სოფლის თემის გლეხკომსა,
ხშირ-ხშირად მოდის ფართალი.
სჯობს სიყალბისა დამალვას,
რომ მოგახსენოთ მართალი.
ნოქრად გვყავს ვინმე სიგუა,
სახელი ქვიან კოლია,
ამ დევ-გმირს პროტექციაში
სწორედ არა ყავს ტოლია.
მოვა თუ არა ფართალი,
ქალების წინამძღოლია.
ეძახის: ჩქარა წაიღეთ —
ლუბა, ვერიკო, ოლია.
შემდეგ უძახის „ძმა-ბიჭებს“:
ანდრიას, სევეს, კოწიას,
— ღარიბი მე რას მიქვიან,
რომელი მეცხრე გოჭია!
ვინცა სთქვა, უთქვამს მართალი,
— მადა ჭამაში მოდისო.
აქა მოსული ფართალი,
„ძმებზედაც“ არა მყოფნისო.
შოლტო, ეწვიე აბედათს,
მიხვდეს რა არის ნოქრობა.
რომ მოიშალოს სიგუამ,
მართლა ამდენი ოხრობა!

კაწარი.

# წერილი რედაქციის მიმართ

მე, კულაკი, სიკო ყოჩიაშვილი, გამოძევებული ვარ ზემო - მაჩხაანიდან. რასაკვირველია, როგორც სხვები, მეც დიდათ ნაწყენი ვარ ამით და დღე და ღამ ღმერთს მარტო იმას ვთხოვ, რომ ადრე და მალე დაღუპოს ამ ქვეყნიდან ბოლშევიკები და კომსომოლები.

დღე და ღამ იმის მონატრული ვიყავი, რომ ზემო-მაჩხაანის ხიომძღვანელობაში ოთანხმოება მომხდარიყო და ერთმანეთში დარეულიყვნენ.

გავიგე, რომ ეს უკვე მომხდარა, რითაც ჩემს გულში ნათელი ჩადგა.

ამიტომ არ შემიძლია ულრმესი მადლობა არ გადაუხადო ზემო-მაჩხაანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს და არტელის ხელმძღვანელებს.

ასე განაგრძეთ ჩემო ნუგეშებო, იჩხუბეთ, დაჭამეთ ერთმანეთი და ამით მაინც გაახარეთ ჩემი დაჩაგრული გული.

კულაკი სიკო ყოჩიაშვილი.

# ამხანაგი მონახა

რუსის კოლექტივის თამვმჯდომარე გიგაშვილმა დაკლა სამი ძროხა, ხორცი გაყიდა, ფული მიითვისა, მის ხელში დაიკარგა 50 ფუთი ფქვილი, 1 ფუთი თაფლი, ორი ხელი ლოგინი და კოლექტივის სხვა ქონება. ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ის არ აწარმოებდა შემოსავალ-გასავლის დავთარს.

გულხკორის წერილიდან



ღორი. ხელი დაკა ამხანაგო, შენც ჩემსავით ჭამა გყვარებია.

# რჩევა-დარიგება

ურჩევ ყველა იმ საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებს, რომლებსაც რაიმე ცოდვა აქვთ ჩადენილი და რომელთა წმენდა დღემდის არ ჩატარებულა, გამოიყენონ ჩემი გამოცდილება:

ჩამოსვლისთანავე დაიახლოვონ და დაიმეგობრონ გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე; წაიყვანონ თავის ბინაზე, სცენ კარგი პატივი, აჭამონ მოხრაკული ვარიები, ცივ-ცივი დედლები, ბლომად ასვან კახური...

ვინც ამას შეასრულებს პირობას ვიძლევი, რომ ჩემსავით უვნებლად გაივლის წმენდას, მოხსნისა და დაქვეითების მაგიერ, მიიღებს წარჩინებას.

საგარეჯოს რაი-ალმასკომის მდივანი გიორგი მეზვრიშვილი.

# მოთქმა-გოდება

კულაკი.

ნეტა ვით გავუძლო—
ამ დროებას წყეულს,
ლამის გამატანონ—
მე უტილ-ნედლეულს!

მღვდელი.

შენ რა გიჭირს ძმაო,—
ვაქვს ძველი ქონია.
მე კი მალე ფეხებს—
გავჭიმავ მგონია!

დიაკვანი.

მღვდელო გავბითურდით—
ვა ვართ გასაჭირში!
შედი პარტიაში—
მე კი კომკავშირში!

მკითხავი.

თქვენთან ერთად ვტირი—
თძიენი და, მკითხავი;
არ გამოგვიჩნდება,—
ნო თუ გამკითხავი?!

ნათავადარი.

თქვენი გასაჭირი,
მე ფეხზე მკიდია..
ვჩივი, ჩვენი მტრები,
რომ ჯერ არ მიდიან!

გლეხი.

ამოგკართ პანღური—
ჩაგიშხამდათ ხოში?!
ეხლა დროა, თვითვე—
რომ ჩაწვეთ კუბოში!
გეყოთ რაცა ხეთქეთ—
ღვინო, შილაფლავი!
აბა, მოემზადეთ—
მზად არი საფლავი!..

ამბა!

# ეკოში

— ამხ. გამგე, ერთი თვეა განცხადება მაქვს შემოტანილი სიმინდზე, და...

— არაა, ძმაო, შარშანდელი ძველია დარჩენილი, დამპალი და მას ხომ არ მოგცემ?!

— მაი რად მინდა, გინდა იგი რაცხა სენია, პელაგია, დამეტაკოს?

— ხა! ხა! ხა! პელაგია კი არა, პელაგრა ჰქვია მას...

— მაი სულ ერთია, მაზე ნაკლები ავი კი არაა კულაკ კოკოს ცოლი პელაგია, რომელსაც გუშლამაც ქე მიეცი კაი სიმინდი და ფართალი!...

— ჰმ!...

ა. ე.

# ჩვენი ფოსტა

უჩინ-მაჩინს. თქვენს ლექსში მამლაყინწასავით იკვეხით:

ლექსი გითხარით მისთანა
აგივარდეთ ტვინის ფხანა.
საქართველოს არ ყოლია
მოშაირე ჩემისთანა... და სხ.

ტვინის ფხანა რომ მართლა გქონიათ ატეხილი, ამას ლაპარაკი არ უნდა. რაც შეეხება თქვენს მაღალ ნიჭიერ ლექსს—ის უძირო გოდორში გადასანსლია.

ნადიაკვნარს. დიდათ გაოცებული იწერებით, რომ აღდგომა დღეს თქვენმა მღვდელმა მამა ისიდორემ შეჭამა ერთი გოჭი, ორი ინდაური, ხუთი დანივრული დედალი და ექვსი დაშაქრული ნაზუქი.რა არის მერე აქ საკვირველი? ჩვენ ისეთი მღვდელიც გვინახავს, რომ მთელი სოფელი შეუჭამია სხვიტურელს.

ქარი კარში.
ქარი თავში,
გამეყინა ტვინი ქარში.
ტაში ბიჭო,
ტაში, ტაში...
მილიტინებს ჭკვაში...

და ასე ბოლომდე, დაუსრულებლად.

თქვენს ლექსში ნათქვამი „პოეტური სიმსუბუქე". სრულიად გეთანხმებით თქვენი ტვინისა და ჭკუის შეფასებაში.

# აპრაკუნე ჭინჭილაძე აგრონომობს

მცხეთის რაიონში, სოფელ მისაქციელში, აგრონომის დაუდევრობით სათესლე ხორბალი ფორმალინით მოწამლეს და მოხარშეს ისე, რომ 30 ჰექ. ნახნავში არც ერთი ღერი ყანა არ ამოვიდა.

კორესპონდენციიდან.



ჭინჭილაძე მოხსენებას აკეთებს აგროლონისძიებათა მნიშნელობაზე.



ჭინჭილაძე ანგარიშობს: თუ ცოტა ფორმალინი სასარგებლოა, მეტი ხომ უფრო სასარგებლო იქნებაო.



ჭინჭილაძე გახარებულია პირველი შედეგებით, — მოწამლულ თესლს თაგვებიც კი ამოუწყვეტია.



ჭინჭილაძის „მოლვაწეობის“ საბოლოო შედეგი.